

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

N 437

2006 წლის 18 ივლისი

ქ.თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით
ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების
დამტკიცების შესახებ

1. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანდართული დებულება. (30.12.2012 N 1143)

2. 2013 წლის 1 იანვრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს უფლებამონაცვლე. (30.12.2012 N 1143)

მიხეილ სააკაშვილი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში - ფონდი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ფონდი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამ დებულებით დადგენილი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად იძენს უფლებებსა და მოვალეობებს.

3. ფონდი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და

დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. (30.12.2012 N 1143)

4. ფონდი შექმნილია სახელმწიფო ქონების საფუძველზე და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

5. ფონდს აქვს ბეჭედი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და ფონდის სახელწოდებით და დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში.

6. ფონდის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №144. (25.02.2011 N 113)

მუხლი 2. ფონდის მიზნები

ფონდის მიზნებია:

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა;

გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეაბილიტაციის, ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემა.

ე) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა; (6.01.2009 N 4)

ვ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა. (6.01.2009 N 4)

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა; (30.12.2012 N 1143)

თ) სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დახმარება. (30.12.2012 N 1143)

მუხლი 3. ფონდის ფუნქციები და საქმიანობის საგანი (6.01.2009 N 4)

ფონდი:

ა) მოიძიებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსურ სახსრებს;

ბ) აფინანსებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;

გ) გასცემს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიკაციისათვის საჭირო თანხას;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ე) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შეიმუშავებს და მონაწილეობს ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში;

ვ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრულ დაცვას;

ზ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პერსონალური მონაცემების სრულ გასაიდუმლოებას;

ზ¹) უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას ან განხორციელების ხელშეწყობას; (30.12.2012 N 1143)

ზ²) უზრუნველყოფს ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას, დღისა და სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობას, კვებას, პირველად სამედიცინო მომსახურებას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას; (30.12.2012 N 1143)

ზ³) უზრუნველყოფს ფონდის სადღეღამისო მომსახურებით მოსარგებლე გარდაცვლილთა დაკრძალვას; (30.12.2012 N 1143)

ზ⁴) ახორციელებს სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და დახმარებას; (30.12.2012 N 1143)

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების) საქმიანობის ორგანიზაციას, კოორდინაციას, მართვასა და კონტროლს; (30.12.2012 N 1143)

ი) ფონდის თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

მუხლი 4. ფონდის უფლება-მოვალეობები

1. ფონდი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

- ა) ორგანიზება გაუწიოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემას;
- ბ) განახორციელოს ფონდში არსებული შემოსავლების ბრუნვის კონტროლი;
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა;
- დ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო, კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაცია;
- ე) მოაწყოს კონფერენციები, თათბირები, სემინარები და გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები.

2. ფონდი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

მუხლი 5. ფონდის ქონება

1. ფონდს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ქონებას გადასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფონდის წლიურ ბალანსს ამტკიცებს სამინისტრო.

3. ფონდის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 6. ფონდის შემოსავლის წყაროები

ფონდის დაფინანსების წყაროებია:

- ა) სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული სახსრები;
- გ) იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულობები;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ფონდმა სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ფონდის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე სამინისტროს უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 8. ფონდის მართვა და სტრუქტურა (30.12.2012 N 1143)

1. ფონდის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო;

ბ) დირექტორი.

2. ფონდი დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) მეშვეობით.

3. ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

4. ტერიტორიულ ერთეულს (ფილიალი) ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ფონდის სამეთვალყურეო საბჭო

1. ფონდის სამეთვალყურეო საბჭო არის ფონდის საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შექმნილი ორგანო.

2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე სახელმწიფო უწყებების, არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

3. საქართველოს პრეზიდენტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდეგში – საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო) წარდგინებით 1 წლით ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს 7 წევრს.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ფონდის დირექტორი, ფონდის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან თანამშრომელი.

5. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრები ირჩევენ თავისი შემადგენლობიდან არანაკლებ 5 ხმით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

7. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას და ადგენს დღის წესრიგს.

8. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს არანაკლებ 5 წევრი. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, ფონდის საქმიანობის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს სხდომის გამართვის შესახებ ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე.

10. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დააფიქსიროს სხდომის ოქმში.

11. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საქმიანობის განხორციელებისას.

12. სამეთვალყურეო საბჭო:

ა) განიხილავს ფონდის საქმიანობის პერიოდულ და წლიურ ანგარიშს და ბიუჯეტის პროექტს;

ბ) ამტკიცებს ფონდის წლიურ სამუშაო პროგრამას;

გ) განიხილავს, ამტკიცებს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ფონდის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

13. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მოითხოვოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეამოწმოს წარმოდგენილი მონაცემებისა და ინფორმაციის სისწორე.

მუხლი 10. ფონდის დირექტორი

1. ფონდს მართავს დირექტორი, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში – მინისტრი) წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ფონდის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ფონდის საქმიანობას და აწესრიგებს ფონდის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) მოქმედებს ფონდის სახელით და წარმოადგენს მის ინტერესებს სპეციალური რწმუნების გარეშე ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას, აგრეთვე სასამართლოში;

გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის თანამშრომლებს;

დ) გამოსცემს ინდივიდუალური ხასიათის ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ფონდის ყველა თანამშრომლისათვის;

ე) მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს დაწესებულების სამტატო ნუსხას და შრომის ანაზღაურების ფონდს;

ვ) ამტკიცებს ფონდის და თავშესაფრის შინაგანაწესს;

ზ) განკარგავს ფონდის სახსრებს და აკონტროლებს მათ გამოყენებას, პასუხისმგებელია ფონდის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებული ქონებისა და ფულადი სახსრების მიზნობრივი და სწორი ხარჯვისათვის;

თ) დებს ხელშეკრულებებს;

ი) ფონდის საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად და პერსონალურად აგებს პასუხს ფონდის საქმიანობის სწორად და კანონიერად წარმართვისათვის;

კ) სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ფონდის საქმიანობის პერიოდულ და წლიურ ანგარიშს.

3. ფონდის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.

მუხლი 11. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) იქმნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით და არის ფონდის სტრუქტურული ერთეული.

2. თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

3. თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი - პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად.

4. თავშესაფარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.

5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების საკითხი არ არის დამოკიდებული შესაბამის დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალის პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან მის თანამშრომლობაზე.

მუხლი 11¹. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)(6.01.2009 N 4)

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) იქმნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით და არის ფონდის სტრუქტურული ერთეული.
2. თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.
3. თავშესაფარის მომსახურებით ისარგებლებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.
4. თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.
5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ასაკის, სქესის და სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ხელშეკრულება იდება მსხვერპლსა და თავშესაფარის ადმინისტრატორს შორის.
6. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ვალდებულია დაიცვას თავშესაფარის შინაგანაწესი, რომელიც მას გადაეცემა თავშესაფარში მისვლისთანავე.

მუხლი 12. თავშესაფარში მიღების პროცედურა

1. საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი სავარაუდო მსხვერპლის მიერ თავშესაფარისათვის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.
2. ეროვნული რეფერალური მექანიზმის თანახმად მუდმივმოქმედი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნული პირის გადაყვანა მოხდება თავშესაფარში.
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ასაკის, სქესის და სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ხელშეკრულება იდება მსხვერპლსა და თავშესაფარის ადმინისტრატორს შორის.
5. თავშესაფარში მისვლისთანავე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უტარდება სამედიცინო შემოწმება.
6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ვალდებულია დაიცვას თავშესაფარის შინაგანაწესი, რომელიც მას გადაეცემა თავშესაფარში მისვლისთანავე.

მუხლი 13. თავშესაფარში ყოფნის ხანგრძლივობა და თავშესაფარის დატოვების პირობები

1. თავშესაფარში ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 თვით. აღნიშნული პერიოდის ამოწურვის შემდეგ მოხდება მსხვერპლის მდგომარეობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრატორის მიერ ვადის გაგრძელება.

2. მსხვერპლის მიერ თავშესაფრის დატოვება შესაძლებელია აღნიშნული ვადის ამოწურვამდეც, თუ ის მიიჩნევა ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელად ან თავად სურს თავშესაფრის დატოვება.

3. თავშესაფრის შინაგანაწესის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ტოვებს თავშესაფარს.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სურვილისამებრ, თავშესაფარი მას უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო მომსახურებით:

ა) ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით;

ბ) საკვებითა და ტანსაცმლით;

გ) სამედიცინო დახმარებით;

დ) ფსიქოლოგიური კონსულტაციით;

ე) იურიდიული დახმარებითა და სასამართლო წარმომადგენლობით;

ვ) მსხვერპლისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - თარჯიმნის მომსახურებით;

ზ) რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობით (პროფესიული სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამები, ხელშეწყობა დასაქმებაში).

მუხლი 14. თავშესაფრის მართვა და პერსონალი

1. თავშესაფარს ხელმძღვანელობს ადმინისტრატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფონდის დირექტორი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (30.12.2012 N 1143)

2. ადმინისტრატორი:

ა) ხელმძღვანელობს თავშესაფარს და პასუხისმგებელია მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

ბ) წარმოადგენს თავშესაფარს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) თავისი საქმიანობის ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს ფონდის დირექტორს.

3. თავშესაფარს ჰყავს:

ა) მუდმივი მომსახურე პერსონალი - ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი, სოციალური მუშაკი და სხვა სპეციალისტები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება (იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური) და გაიარეს სწავლების სპეციალური კურსი ტრეფიკინგთან დაკავშირებით ან აქვთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთან მუშაობის გამოცდილება;

ბ) დროებითი მომსახურე პერსონალი - სპეციალისტები, რომელთა სამსახურში აყვანა ხდება დროებით, საჭიროებისამებრ, ხელშეკრულების საფუძველზე.

4. თავშესაფრის ადმინისტრაცია და მომსახურე პერსონალი ვალდებული არიან უზრუნველყონ სამსახურებრივი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მუხლი 15. ფონდის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

1. სამინისტრო ახორციელებს ფონდის სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს ფონდის საქმიანობის მიზანშეწონილობის, კანონიერების,

საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტიანობის ზედამხედველობას.

2. მინისტრი ფონდისაგან გამოითხოვს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციასა და ინფორმაციას.

3. მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ფონდის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 16. ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 17. ფონდის დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

ფონდის დებულებაში ცვლილებები შედის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.